

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	16
7. ძირითადი საშუალებები	18
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
9. საგადასახადო აქტივი	20
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
11. კაპიტალი	21
12. კაპიტალური ტრანსფერი	21
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
14. შემოსავლები დარბაზების და სტადიონების იჯარიდან	21
15. შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	22
16. სხვა საოპერაციო ხარჯი	22
17. ფინანსური შემოსავალი	22
18. პირობითი ვალდებულებები	22
19. ფინანსური რისკების მართვა	23
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	24
21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	24

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	26
2. საწესდებო კაპიტალი (2021-2022 წლები)	26
3. სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეები	36
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	36
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	36
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სპორტმენსერვისი“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სპორტმენსერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სპორტმენსერვისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამორბედი აუდიტორის მოსაზრება იყო მოდიფიცირებული ძირითადი საშუალებების რეალურ ღირებულებაზე და მომსახურების ვადებზე საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების ვერ მიღების გამო. აღნიშნული ისევე არ არის გამოსწორებული. რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 49,145 ათას ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან მიმართებაში. ასევე, კომპანიას არ უმსჯელია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტის საჭიროებაზე მიუხედავად გაუფასურების ნიშნების არსებობისა, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

2022 წელს საწესდებო კაპიტალში შეტანილია 36,762 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები. შესაბამისი შეფასების ანგარიშის მეთოდოლოგიაში გამოყენებული დაშვებების ანალიზისას ჩვენ დავადგინეთ, რომ ანგარიშში, გადაფასებისას გამოყენებული დაშვებების საფუძვლები არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული. ასევე, შეფასების ანგარიშში არ არის აღნიშნული რომ შეფასება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, ფასს-ის მოთხოვნების დაცვით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-12 შენიშვნაში, კომპანია მულტიფუნქციური სპორტის სასახლე თბილისი არენას მშენებლობისთვის სახელმწიფოსგან იღებს დაფინანსებას. მშენებლობის დასრულების შემდგომ შეტანა მოხდება კომპანიის კაპიტალში და ამ ჩარიცხვებთან დაკავშირებით არ იგეგმება ეკონომიკური სარგებლის გადინება კომპანიიდან. შესაბამისად ვთვლით, რომ კაპიტალური ტრანსფერი არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმს და წარდგენილ უნდა იყოს კაპიტალთან ერთად.

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022 წელს შეაფასა ინდივიდუალურად თვითოეული მოთხოვნისათვის, ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება შეფასებისას გამოყენებული დაშვებების გონივრულობის შესახებ. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*” - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ 2022 წლის აუდიტის ფარგლებში აგრეთვე ჩავატარეთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების აუდიტიც, რომლებიც განხორციელდა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შესწორებისათვის. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სწორად არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად, გარდა აღნიშნული შესწორებებისა და, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

შპს „სპორტმენსერვისი“-ს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2022 წლის 13 ივნისს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 25-37 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

13 ივნისი, 2023

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონი მოთხოვნებს.



შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

13 ივნისი, 2023

თბილისი, საქართველო.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	316,458	261,431	203,418
არამატერიალური აქტივები		4	10	13
სულ გრძელვადიანი აქტივები		316,462	261,441	203,431
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები		220	133	123
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,070	1,490	29,449
საგადასახადო აქტივი	9	153	2,249	2,477
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	13,033	12,590	5,481
სულ მიმდინარე აქტივები		15,476	16,462	37,530
სულ აქტივები		331,938	277,903	240,961
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	217,505	186,440	186,380
გადაფასების რეზერვი	11	21,806	21,960	22,193
გაუნაწილებელი მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	11	309	(2,907)	(2,985)
სულ კაპიტალი		239,620	205,493	205,588
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	-	10,071
კაპიტალური ტრანსფერი	12	90,980	72,023	25,241
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,338	387	61
სულ მიმდინარე ვალდებულებები		92,318	72,410	35,373
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		331,938	277,903	240,961

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 13 ივნისს:

გერონტი ცინდელიანი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი


შპს „სპორტშენსერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	316,458	261,431
არამატერიალური აქტივები		4	10
სულ გრძელვადიანი აქტივები		316,462	261,441
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		220	133
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,070	1,490
საგადასახადო აქტივი	9	153	2,249
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	13,033	12,590
სულ მიმდინარე აქტივები		15,476	16,462
სულ აქტივები		331,938	277,903
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	217,505	186,440
გადაფასების რეზერვი	11	21,806	21,960
გაუნაწილებელი მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	11	309	(2,907)
სულ კაპიტალი		239,620	205,493
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
კაპიტალური ტრანსფერი	12	90,980	72,023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,338	387
სულ მიმდინარე ვალდებულებები		92,318	72,410
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		331,938	277,903

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 13 ივნისს:


გიორგი ცინდელიანი
დირექტორი


მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტშენსერვისი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავლები დარბაზების და სტადიონების იჯარიდან	14	3,870	2,153
შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული	15	1,512	1,034
კონტრაქტებიდან			
სხვა შემოსავალი		319	87
სულ შემოსავალი		5,701	3,274
თანამშრომელთა სარგებელი		(2,570)	(2,620)
კომუნალური ხარჯები		(1,689)	(890)
ცვეთა და ამორტიზაცია		(401)	(218)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(370)	(266)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,120)	(675)
საოპერაციო ზარალი		(449)	(1,395)
ფინანსური შემოსავალი	17	1,675	572
საკუთრო ზარალი		(32)	-
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		1,194	(823)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,194	(823)

გერონტი ცინდელიანი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტშენსერვისი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავლები დარბაზების და სტადიონების იჯარიდან	14	3,870	2,153
შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	15	1,512	1,034
სხვა შემოსავალი		319	87
სულ შემოსავალი		5,701	3,274
თანამშრომელთა სარგებელი		(2,570)	(2,620)
კომუნალური ხარჯები		(1,689)	(890)
ცვეთა და ამორტიზაცია		(401)	(218)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(370)	(266)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,120)	(675)
საოპერაციო ზარალი		(449)	(1,395)
ფინანსური შემოსავალი	17	1,675	572
საკუროსო ზარალი		(32)	-
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		1,194	(823)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,194	(823)


გერონტი ცინდელიანი
დირექტორი


მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)	186,380	(2,985)	22,193	205,588
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(823)	-	(823)
გადაფასების რეზერვის გადატანა მთლიან სრულ შემოსავალში	-	233	(233)	-
ოპერაციები მესაკუთრებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	135	-	-	135
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(75)	-	-	(75)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	-	668	-	668
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	186,440	(2,907)	21,960	205,493
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	1,194	-	1,194
გადაფასების რეზერვის გადატანა მთლიან სრულ შემოსავალში	-	154	(154)	-
ოპერაციები მესაკუთრებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	36,772	(10)	-	36,762
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(5,707)	-	-	(5,707)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	-	1,878	-	1,878
31 დეკემბერი 2022	217,505	309	21,806	239,620

გერონტი ცინდელიანი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტშენსერვისი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)	186,380	(2,985)	22,193	205,588
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(823)	-	(823)
გადაფასების რეზერვის გადატანა მთლიან სრულ შემოსავალში	-	233	(233)	-
ოპერაციები მესაკუთრეებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	135	-	-	135
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(75)	-	-	(75)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	-	668	-	668
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	186,440	(2,907)	21,960	205,493
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	1,194	-	1,194
გადაფასების რეზერვის გადატანა მთლიან სრულ შემოსავალში	-	154	(154)	-
ოპერაციები მესაკუთრეებთან:				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	36,772	(10)	-	36,762
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(5,707)	-	-	(5,707)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	-	1,878	-	1,878
31 დეკემბერი 2022	217,505	309	21,806	239,620

გერონტი ცინდელიანი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტშენსერვისი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	1,194	(823)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	401	218
საპროცენტო შემოსავალი	(1,675)	(572)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანარიცხის ცვლილება	80	-
შემოსავალი ძირითადი საშუალების ინვენტარიზაციიდან	(117)	-
საკურსო ზარალი	32	17
საოპერაციო საქმიანობაზე გასული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	(85)	(1,160)
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(164)	(10)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(580)	19,563
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	2,096	228
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	951	326
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე) გადასახდამდე და პროცენტამდე	2,218	18,947
გადახდილი პროცენტი	-	(184)
წმინდა მიღებული ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,218	18,763
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(24,406)	(49,916)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(24,406)	(49,916)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
დაფარული სესხი	-	(9,978)
კაპიტალური დაფინანსება	20,988	47,683
მიღებული პროცენტი	1,675	572
ფინანსურ საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	22,663	38,277
წმინდა ზრდა ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	475	7,124
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12,590	5,481
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(32)	(15)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	13,033	12,590

გერონტი ცინდელიანი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	1,194	(823)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	401	218
საპროცენტო შემოსავალი	(1,675)	(572)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანარიცხის ცვლილება	80	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციიდან	(117)	-
საკურსო ზარალი	32	17
საოპერაციო საქმიანობაზე გასული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	(85)	(1,160)
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(164)	(10)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(580)	19,563
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	2,096	228
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	951	326
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე) გადასახადამდე და პროცენტამდე	2,218	18,947
გადახდილი პროცენტი	-	(184)
წმინდა მიღებული ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,218	18,763
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(24,406)	(49,916)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(24,406)	(49,916)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
დაფარული სესხი	-	(9,978)
კაპიტალური დაფინანსება	20,988	47,683
მიღებული პროცენტი	1,675	572
ფინანსურ საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	22,663	38,277
წმინდა ზრდა ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	475	7,124
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12,590	5,481
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(32)	(15)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	13,033	12,590

გერონტი ცინდელიანი
დირექტორი

მაია ნაჭყებია
ბუღალტერი

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სპორტმშენსერვისი“ (ს/ნ 204878542) დაარსდა საქართველოში კომპანიის იურიდიულ მისამართი და საქმიანობის ადგილია ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №49ა.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობის საგანს წარმოადგენს სპორტული ბაზების მოდერნიზაცია, გადაიარაღება, გადაფორმება და კაპრემონტის სამუშაოების ჩატარება, ამ დარბაზების შემდგომი გაქირავება ექსპლუატაციის მიზნით.

კომპანიის მფლობელი: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, ხოლო წილის მმართველი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა შემდეგისა:

ძირითადი საშუალებები - ყველა ჯგუფი წარდგენილია გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს-16-ის კორექტირება);
- წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები – შესწორებები ბასს 37-ში
- წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირება);

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის კორექტირებებია:

შესადარის პერიოდში სამინისტროდან მიღებული თანხები, რომელიც გამიზნული იყო მიმდინარე მშენებლობის დასაფინანსებლად, აღიარებული იყო მიმდინარე პერიოდის სარგებლად. 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მსჯელობის ხელახალი შეფასებისას, მენეჯმენტმა მიიჩნია რომ მიღებული დაფინანსების კაპიტალში წარდგენა უფრო რელევანტური და შესაბამისია რადგან ეს წარმოადგენს დამფუძნებელთან განხორციელებულ ოპერაციას. აღნიშნულის ეფექტმა 2021 წლის 1 იანვარს და 2021 წლის 31 დეკემბერს შესაბამისდ შეადგინა 541 და 901 ლარი.

2021 წელს არაფულადი ფორმით კაპიტალიდან გასული ძირითადი საშუალებების გადაფასების ეფექტი წარდგენილი იყო სხვა სრულ შემოსავალში. მენეჯმენტის შეფასებით, გადაფასების ჩამოწერის ეს ფორმა არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და მოხდა გადაფასების ეფექტის წარდგენა პირდაპირ კაპიტალში.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განახლდა სრული შემოსავლის ანგარიშგების ფორმა და წარდგენილი რეკლასიფიკაციები წარმოადგენს აღნიშნული ცვლილების ეფექტს. მენეჯმენტის შეფასებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უფრო რელევანტური და შესაბამისია კომპანიისთვის.

2021 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებებს და რეკლასიფიკაციებს ეფექტი არ ჰქონიათ.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2021 წლის 1 იანვრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	1 იანვარი 2021	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	203,418	-	-	203,418
არამატერიალური აქტივები	13	-	-	13
სულ გრძელვადიანი აქტივები	203,431	-	-	203,431
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	123	-	-	123
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29,443	-	6	29,449
წინასწარ გაწეული ხარჯები	6	-	(6)	-
საგადასახადო აქტივი	2,477	-	-	2,477
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,481	-	-	5,481
სულ მიმდინარე აქტივები	37,530	-	-	37,530
სულ აქტივები	240,961	-	-	240,961
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	186,380	-	-	186,380
გადაფასების რეზერვი	22,193	-	-	22,193
დაუფარავი ზარალი	(3,526)	541	-	(2,985)
სულ კაპიტალი	205,047	(541)	-	205,588
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10,071	-	-	10,071
კაპიტალური ტრანსფერი	25,782	(541)	-	25,241
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	61	-	-	61
სულ მიმდინარე ვალდებულებები	35,914	541	-	35,373
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	240,961	-	-	240,961

შპს „სპორტშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2021 წლის წლის შედეგებზე კორექტირებების ეფექტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავლები	3,259	-	(3,259)	-
გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	(2,061)	-	2,061	-
შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	-	-	2,153	2,153
შემოსავლები დარბაზების და სტადიონების იჯარიდან	-	-	1,034	1,034
სხვა შემოსავალი	-	-	87	87
სულ შემოსავალი	1,198	-	2,076	3,274
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,608)	-	2,608	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი	571	-	(571)	-
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	1,458	(1,442)	(16)	-
თანამშრომელთა სარგებელი	-	-	(2,620)	(2,620)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	(218)	(218)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	-	-	(266)	(266)
კომუნალური ხარჯები	-	-	(890)	(890)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	(675)	(675)
საოპერაციო ზარალი	619	(1,442)	(572)	(1,395)
ფინანსური შემოსავალი	-	-	572	572
საკუროსო მოგება	-	-	-	-
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე	619	(1,442)	-	(823)
მოგების გადასახადი	-	-	-	-
წლის შედეგი	619	(1,442)	-	(823)
სხვა სრული შემოსავალი	(233)	233	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	386	(1,209)	-	(823)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირით ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია რეალური ღირებულებით.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება რეალური ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
 - **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.
 - **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
 - **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.
- მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	0.2%
მანქანა-დანადგარები	5%
ოფისის აღჭურვილობა	5%
სატრანსპორტო საშუალებები	14%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5%

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე გადადის, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. რაც მოიცავს ნამეტის მთლიან მოცულობას, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განთავსებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივების დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

• **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.
- **FVOCI აქტივები,** რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.
- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მიდგომას.

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამოებს; ან

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. კომპანია შემოსავლებს იღებს საცურაო აუზის და ტანვარჯიშის აბონიმენტების რეალიზაციიდან. აბონიმენტის გადაცემიდან მომსახურების გაწევის დასრულებამდე შემოსავალი აღიარდება როდესაც მომხმარებელს გადაეცემა მომსახურება გარკვეული პერიოდის განმავლობაში აბონიმენტის განგრძლივობიდან გამომდინარე.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა, კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას
- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
- (ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.
- **კომპანია როგორც მეიჯარე.** საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას კომპანია, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით.

როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „კომპანიამ“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა მოთხოვნებისთვის.

• ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

• საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და კორექტირებები სადაზღვევო ხელშეკრულებებში.
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- სააღრიცხვო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში)
- გადავადებული გადასახადთან დაკავშირებული აქტივი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციიდან (ბასს 12-ის კორექტირება)

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია

6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული (გაგრძელება)

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებზე.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2021	103,763	48,825	48,882	593	1,536	30	22	203,651
ძირითადი საშუალებების კაპიტალში შეტანა	124	-	12	-	-	-	-	136
ძირითადი საშუალებების შემოსვლა	-	57,685	544	72	8	-	-	58,309
სესხის კაპიტალიზაცია	-	91	-	-	-	-	-	91
ძირითადი საშუალებების კაპიტალიდან გატანა	(240)	-	(68)	-	-	-	-	(308)
31 დეკემბერი 2021	103,647	106,601	49,370	665	1,544	30	22	261,879
ძირითადი საშუალებების კაპიტალში შეტანა	18,682	-	18,070	-	-	-	9	36,761
ძირითადი საშუალებების შემოსვლა	7	23,209	350	45	269	107	539	24,526
დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	(126,764)	126,764	-	-	-	-	-
შენობებზე გადატანა	-	-	-	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების კაპიტალიდან გატანა	(5,790)	-	(71)	(1)	-	-	-	(5,862)
31 დეკემბერი 2022	116,546	3,046	194,483	709	1,813	137	570	317,304

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2021	-	-	(126)	(23)	(77)	(5)	(2)	(233)
ცვეთის ხარჯი	-	-	(99)	(33)	(77)	(5)	(1)	(215)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	(225)	(56)	(154)	(10)	(3)	(448)
ცვეთის ხარჯი	-	-	(259)	(34)	(84)	(12)	(9)	(398)

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	(484)	(90)	(238)	(22)	(12)	(846)
საბალანსო ღირებულება								
1 იანვარი 2021	103,763	48,825	48,756	570	1,459	25	20	203,418
31 დეკემბერი 2021	103,647	106,601	49,145	609	1,390	20	19	261,431
31 დეკემბერი 2022	116,546	3,046	193,999	619	1,575	115	558	316,458

დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადატანა წლის განმავლობაში წარმოადგენს თბილისის, ბათუმისა და თელავის სპორტის სასახლეების ექსპლუატაციაში შესვლის შედეგს. დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი კი არის კასპში ჩოგბურთის კორტებისა და თბილისში დიდმის ჭიდაობის სასახლის მშენებლობის ღირებულება.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	2,052	1,485	1,070
სხვა მოთხოვნები	2	1	6
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	21	9	28,378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	2,075	1,495	29,454
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(5)	(5)	(5)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	2,070	1,490	29,449

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	(5)	(5)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	(5)	(5)

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

9. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12,805	12,330	5,198
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	228	259	280
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	1	3
სულ	13,033	12,590	5,481

ფულის განაწილება ანგარიშების ტიპების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
მოკლევადიანი დეპოზიტები	10,334	11,794	5,189
მიმდინარე ანგარიში	2,699	795	289
სულ	13,033	12,589	5,478

მოკლევადიანი დეპოზიტები განთავსებული სს "ხალიკ ბანკში", სს "საქართველოს ბანკსა" და სს "ტერა ბანკში".

ხალიკ ბანკში დეპოზიტი განთავსებულია ლარში, 2022 წელს საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 534 ლარი. საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე შეადგენს 13%-ს.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

სს "საქართველოს ბანკში" დეპოზიტი განთავსებულია ლარში. წლის განმავლობაში გენერირებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 242 ლარი (2021: 503 ლარი). საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე შეადგენს 12.90%-ს.

სს „ტერა ბანკში“ დეპოზიტი განთავსებულია ლარსა და დოლარში. წლის განმავლობაში გენერირებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 528 ლარი. (2021: 3 ლარი). საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე ლარის შემთხვევაში შეადგენს 14.1%-ს, ხოლო დოლარის შემთხვევაში 1%-ს.

11. კაპიტალი

ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა და შემცირება სრულად უკავშირდება არაფულადი აქტივების შეტანას/გატანას.

გადაფასების რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე პერიოდის განმავლობაში, უკავშირდება გასული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ანულირებას.

დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები შედგება 2022 წელს მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით მიღებული დაფინანსებისგან და 2021 წელს ბათუმის და თელავის სპორტის სასახლის მშენებლობის დაფინანსებისგან, დეტალები მოცემულია მე-12 შენიშვნაში. აღნიშნული ასევე მოიცავს, არაფულადი აქტივების გატანის დროს, გასული აქტივის საბალანსო ღირებულებასა და გამოცხადებულ საწესდებო კაპიტალის შემცირებას შორის სხვაობას.

12. კაპიტალური ტრანსფერი

კაპიტალური დაფინანსება წარმოადგენს დამფუძნებლისგან მიღებულ დაფინანსებას. აღნიშნული მოიცავს მიმდინარე პროექტის ნაწილობრივ დასაფინანსებლად გამოყოფილ სახსრებს, რომელიც აუცილებელია რომ კომპანიას არ შეექმნას სირთულეები მშენებლობის პროცესში ვალდებულებების გასასტუმრებლად. 2022 წელს ასეთი სახის დაფინანსებამ, შეადგინა 2,031 ლარი, რაც ნაწილობრივ უკავშირდება მიმდინარე პროექტების მშენებლობას. 2021 წელს ასეთმა დაფინანსებამ შეადგინა 901 ლარი რაც სრულად უკავშირდება ბათუმის და თელავის სპორტის სასახლეებს.

კომპანია მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის (თბილისი არენა), მშენებლობის პროცესში იღებდა თანხებს სახელმწიფოსგან მშენებლობის დასასრულებლად. ეს დაფინანსება მას შემდეგ რაც დასრულდება მშენებლობა გამიზნულია კაპიტალში შესატანად. 2022 წელს მიღებულმა თანხამ შეადგინა 18,957 ლარი (2021: 46,783).

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	1,329	163	50
საკონტრაქტო ვალდებულებები	8	189	11
სხვა ვალდებულებები	1	35	-
სულ	1,338	387	61

სავაჭრო ვალდებულებებიდან 957 ლარი წარმოადგენს ძირითადი კონტრაქტორებისათვის გადასახდელ საგარანტიო თანხებს.

14. შემოსავლები დარბაზების და სტადიონების იჯარიდან

შემოსავალი იჯარიდან წარმოადგენს სპორტული კომპლექსების გაქირავებით მიღებულ შემოსავალს. ძირითად მოიჯარეებს წარმოადგენენ სპორტული ფედერაციები და კლუბები.

შპს „სპორტშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

	2022	2021
შემოსავალი საცურო აუზის აბონიშების რეალიზაციიდან	1,290	870
შემოსავალი ტანვარჯიშის არენას აბონიშების რეალიზაციიდან	222	164
სულ	1,512	1,034

16. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022	2021
დაცვის ხარჯი	(372)	(134)
რემონტის ხარჯი	(176)	(364)
სამეურნეო ხარჯი	(148)	(36)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(80)	-
საწვავის ხარჯი	(27)	(10)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(25)	(10)
საკონსულტაციო ხარჯი	(24)	(47)
მივლინების ხარჯი	(12)	(7)
სხვა საერთო ხარჯი	(256)	(67)
სულ	(1,120)	(675)

17. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი სრულად უკავშირდება ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებზე დარიცხულ სარგებელს.

18. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

19. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2022, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,033	12,590	5,481
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,070	1,490	29,449
სულ ფინანსური აქტივები	15,103	14,080	34,930

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია კრედიტზე გაყიდვებით. კერძოდ კომპანიას აქვს კრედიტით რეალიზაციები, როდესაც იჯარით გასცემს სპორტულ კომპლექსს. საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, უზრუნველყოფს რისკების მართვას მისაღებ დონემდე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება გამოსახულია ლარში და შესაბამისად კომპანიას სავალუტო რისკი არ წარმოეშვება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ აქვს მიღებული სესხი და შესაბამისად არ დგას ამ რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ყველა საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
 - გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.
- კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული გადაუხდელი ნაშთები და ოპერაციები.

	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	68	70

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელის მიერ კაპიტალში არაფულადი ფორმით შენატანმა შეადგინა 100,376 ლარი.

**შპს „სპორტმენსერვისი“
მმართველობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში – „სპორტმშენსერვისი“) არის მეწარმე სუბიექტი იგი შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელმაც სახელმწიფო რეგისტრაცია შესაბამისი წესით, სამეწარმეო რეესტრში გაიარა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. მისი დამფუძნებელი და კაპიტალში წილის 100%-ის მესაკუთრე პარტნიორია სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის №15/03/06 განკარგულებისა და 2013 წლის 25 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული „სპორტმშენსერვისის“ 100% წილი მართვის უფლებით.

„სპორტმშენსერვისი“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, მისი საქმიანობა ძირითადად რეგულირდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, საკუთარი წესდებითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს იურიდიული პირების (სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების) უფლებებსა და მოვალეობებს.

„სპორტმშენსერვისის“ კაპიტალის ფორმირება ხორციელდება პარტნიორის შენატანებით და საკუთარი აქტივობების მეშვეობით. კომპანიის დირექტორია გერონტი ცინდელიანი.

2. საწესდებო კაპიტალი (2021-2022 წლები)

„სპორტმშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 217 505 021,10 ერთეულ ლარს.

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „სპორტმშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალის დინამიკა (2021-2022)

#	თარიღი	მიღება ერთეულ ლარში	გასვლა ერთეულ ლარში	პერიოდის ნაშთი ერთეულ ლარში	ტიპი	ტერიტ. ერთეული	საკად. კოდი
	ნაშთი 01.01.2021			186,389,350.25			
1	24.08.2021 კორექტირებულია	-	11,272.08	186,378,078.17	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
2	24.08.2021 კორექტირებულია	-	32,504.00	186,345,574.17	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
3	08.09.2021 კორექტირებულია	-	21,653.78	186,323,920.39	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
4	07.12.2021 კორექტირებულია	-	9,103.67	186,314,816.72	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
5	14.12.2021 კორექტირებულია	11,515.00	-	186,326,331.72	ქონება	კასპი	67.17.36.058
6	14.12.2021 კორექტირებულია	123,885.00	-	186,450,216.72	ქონება	კასპი	67.17.36.058
7	22.03.2022		7,905.60	186,442,311.12	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
8	22.03.2022		16,488.30	186,425,822.82	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
9	25.03.2022	206,000.00		186,631,822.82	ქონება	ქ. გორი	66.45.31.248
10	25.03.2022	16,467,000.00		203,098,822.82	ქონება	ქ. გორი	66.45.31.248
11	21.04.2022		4,591.82	203,094,231.00	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
12	21.04.2022		9,531.90	203,084,699.10	ქონება	თბილისი	01.14.07.008.014
13	27.04.2022	21,000.00		203,105,699.10	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტი	67.17.36.014
14	27.04.2022	27,000.00		203,132,699.10	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტი	67.17.36.014

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15	27.04.2022	17,000.00		203,149,699.10	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტი	67.17.36.055
16	27.04.2022	10,000.00		203,159,699.10	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტი	67.17.36.055
17	27.04.2022	7,600.00		203,167,299.10	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტი	67.17.36.056
18	27.04.2022	10,000.00		203,177,299.10	ქონება	კასპის მუნიციპალიტეტი	67.17.36.056
19	13.06.2022		5,610,348.00	197,566,951.10	ქონება	თბილისი	01.72.14.009.684
20	14.06.2022	5,340,000.00		202,906,951.10	ქონება	თბილისი	01.72.14.009.624
21	06.07.2022	9,600.00		202,916,551.10	ქონება	თბილისი	N/A
22	05.09.2022	2,637,300.00		205,553,851.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
23	05.09.2022	74,590.00		205,628,441.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
24	05.09.2022	-		205,628,441.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
25	05.09.2022	86,940.00		205,715,381.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
26	05.09.2022	85,180.00		205,800,561.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
27	05.09.2022	26,840.00		205,827,401.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
28	05.09.2022	35,280.00		205,862,681.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
29	05.09.2022	16,380.00		205,879,061.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
30	05.09.2022	2,600.00		205,881,661.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
31	05.09.2022	2,400.00		205,884,061.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
32	05.09.2022	3,230.00		205,887,291.10	ქონება	მცხეთა, ცხვარიჭამია	72.05.03.003
33	21.09.2022	413,000.00		206,300,291.10	ქონება	ქ. ფოთი, მალთაყვა	04.02.11.641

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

34	21.09.2022	4,000.00		206,304,291.10	ქონება	ქ. ფოთი, მალთაყვა	04.02.11.641
35	21.09.2022	3,500.00		206,307,791.10	ქონება	ქ. ფოთი, მალთაყვა	04.02.11.717
36	21.09.2022	1,000.00		206,308,791.10	ქონება	ქ. ფოთი, მალთაყვა	04.02.11.717
37	21.09.2022	274,000.00		206,582,791.10	ქონება	ქ. ფოთი, მალთაყვა	04.02.11.849
38	19.10.2022	63,400.00		206,646,191.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
39	19.10.2022	6,500.00		206,652,691.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
40	19.10.2022	9,763,050.00		216,415,741.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
41	19.10.2022	666,357.00		217,082,098.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
42	19.10.2022	276,744.00		217,358,842.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
43	19.10.2022	150,116.00		217,508,958.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
44	19.10.2022	6,570.00		217,515,528.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
45	19.10.2022	6,043.00		217,521,571.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
46	19.10.2022	1,438.00		217,523,009.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
47	19.10.2022	4,504.00		217,527,513.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
48	19.10.2022	3,363.00		217,530,876.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
49	19.10.2022	11,308.00		217,542,184.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
50	19.10.2022	9,132.00		217,551,316.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
51	19.10.2022	5,720.00		217,557,036.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
52	19.10.2022	800.00		217,557,836.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

53	19.10.2022	800.00		217,558,636.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
54	19.10.2022	800.00		217,559,436.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
55	19.10.2022	800.00		217,560,236.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
56	19.10.2022	800.00		217,561,036.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
57	19.10.2022	2,500.00		217,563,536.10	ქონება	ქ. თბილისი	01.18.09.003.031
58	22.11.2022		11,515.00	217,552,021.10	ქონება	კასპის მუნიც. სოფ. ახალქალაქი	67.17.36.058
59	22.11.2022		27,000.00	217,525,021.10	ქონება	კასპის მუნიც. სოფ. ახალქალაქი	67.17.36.014
60	22.11.2022		10,000.00	217,515,021.10	ქონება	კასპის მუნიც. სოფ. ახალქალაქი	67.17.36.055
61	22.11.2022		10,000.00	217,505,021.10	ქონება	კასპის მუნიც. სოფ. ახალქალაქი	67.17.36.056
01.01.2023წ. მდგომარეობით				217,505,021.10			

ვაკის სამდარბაზიანი სპორტკომპლექსი

ვაკის 3 დარბაზიანი სპორტკომპლექსი (საკ.კოდი 01.14.07.008.014) აშენებულია და ექსპლუატაციაში შესულია 90-იან წლებში. იგი არის თანასაკუთრებაში. მიწის ფართი შეადგენს - 9 134.00 კვ/მ-ს, ხოლო შენობა-ნაგებობის ფართი - 5413.8 კვ/მ.-ს. „სპორტმშენსერვისის“ ბალანსზე რიცხული ფართებიდან ძირითადი ნაწილი აუქციონის წესით გაცემულია იჯარით. ფართების შეფასებას ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი და მასზე დაყრდნობით „სპორტმშენსერვისი“ იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო ღირებულების დაწესებასთან დაკავშირებით. აუქციონზე გატანის ნებართვას „სპორტმშენსერვისი“, რა თქმა უნდა აძლევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“.

ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა

2013 წლის მეორე ნახევარში შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის (სახელმწიფო), საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში განხორციელებულიყო ორი მასშტაბური სამშენებლო პროექტი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. საუბარია ოლიმპიურ აუზსა და ოლიმპიურ სასახლეზე. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელება დამფუძნებლისვე გადაწყვეტილებით დაევალა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“, რისთვისაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით მოხდა შესაბამისი ფულადი სახსრების გამოყოფა ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდის მიზნით.

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

„თბილისი არენა“

2019 წლიდან სამინისტროს დავალებით შპს „სპორტმშენსერვისი“ ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე დაიწყო ახალი ათიათასკაციანი მულტიფუნქციური დარბაზის მშენებლობა, რომელმაც უმასპინძლა ევრო 2022 წლის ჩემპიონატს კალათბურთში.

„თბილისი არენა“ წარმოადგენს მულტიფუნქციურ ერთდარბაზიან შენობას, რომელიც გათვლილია 10 000 მაყურებელზე. 1500 კვადრატული მეტრის დარბაზი ასევე აღჭურვილია 6 გასახდელითა და საშხაპით; 4 მწვრთნელების ოთახით; სატრენაჟორო დარბაზით; 2 ექიმის ოთახით; 2 საკონფერენციო დარბაზით; 1 სპორტსმენთა მოსასვენებელი ოთახით; დოპინგ კონტროლის ოთახით; ჰიგიენის თანამშრომელთა და ტექნიკური სათავსოების ოთახებით.

„თბილისი არენა“-ში ასევე გამოყოფილია რამდენიმე სივრცე:

ა) მასმედიის ტერიტორიები მოიცავს შემდეგს:

- მასმედიის სამუშაო ოთახი;
- პრესკონფერენციის ოთახი;
- შერეული ზონა;
- მასმედიის ქეითერინგის ტერიტორია;
- მასმედიის ტრიბუნა სივრცე;
- სივრცე კომენტარების გასაკეთებლად;
- გრძელი სკამები ფოტოგრაფებისთვის;
- ტელეკავშირების სპეც მანქანების პარკინგი მასმედიისთვის.

ბ) VIP სივრცე;

გ) ჩემპიონატის ჩასატარებლად საჭირო ადმინისტრაციული ტერიტორიები;

დ) კომფორტის ზონები

ჩამონათვალი:

- ვიპ ლაუნჯი
- ვვიპ ლაუნჯი
- ლოჟები (skybox)
- კორპორატიული კომფორტის ზონის ლაუნჯი

ე) მოხალისეთა სივრცეები;

ვ) უსაფრთხოების სივრცეები;

ზ) 2 კაფე - თითო უნდა ემსახუროდეს 100 ადამიანს

თ) ადმინისტრაციული ტერიტორია;

„თბილისის არენა“ აღჭურვილია: 14 ერთეული სალაროთი, ლიფტებით, ტაბლოებით, ვიდეო ეკრანებით, დინამიკებით, 300 კაციანი ავტოსადგომით.

ზემოაღნიშნული ობიექტი როგორც უკვე ვახსენეთ მულტიფუნქციურ დარბაზს წარმოადგენს. იგი აღჭურვილია უმაღლესი სტანდარტის თანამედროვე ტექნიკით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვუმასპინძლოთ სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებს მაგ: კალათბურთი, ფუტბალი, ხელბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

„ოლიმპიური სასახლე“

ოლიმპიური სასახლე აშენდა 2015 წელს თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში.

პირველ რიგში გვინდა მოგახსენოთ ოლიმპიური სასახლის ექსპლუატაციის კონცეფციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ორდარბაზიან სპორტულ კომპლექსს სასარგებლო ფართით - 15 509.98 კვ/მ. ჩვენს მიერ მშენებლობის პროცესშივე დაიწყო ბაზრის მოკვლევა და შესწავლა, რის შემდეგაც დაიგეგმა სტრატეგია ობიექტის შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან და

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

დაინტერესებულ სეგმენტთან, რის შედეგადაც 2015 წლის სექტემბრის ბოლოს უკვე გაჩნდა პირველი კონტრაქტორები და დაიწყო შენობის დატვირთვა. 2015 წლის ბოლო კვარტლის შედეგების თანახმად ოლიმპიურმა სასახლემ შემოსავლის კუთხით 311 700 ლარიან ნიშნულს მიაღწია. 2015 წლის ბოლოსვე შევძელით გვემასპინძლა ისეთი დონის საერთაშორისო ტურნირისთვის როგორიცაა ფარიკაობის მსოფლიო თასი.

თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ ოლიმპიურ სასახლეში ორი დარბაზია მოწყობილი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების ტურნირების ჩატარება, როგორც სათამაშო, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში – ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ძიუდოში, ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში, ფარიკაობაში და ა.შ.

დიდი დარბაზი 2700 გულშემატკივარს, მცირე კი 600 გულშემატკივარს იტევს. ორივე დარბაზი აღჭურვილია გასახდელბით, საშხაპეებით, სამედიცინო და დოპინგ-კონტროლის ოთახებით. სპორტულ კომპლექსში ასევე განთავსებულია:

- 150 ადამიანზე გათვლილი VIP ლაუნჯი,
- 100-120 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო ოთახი,
- 80-100 ადამიანზე გათვლილი მედიაოთახი,
- სივრცე კვების ობიექტისთვის
- სასტუმრო (9 ნომერი)
- სპორტულ კომპლექს აქვს საკუთარი, 260 მანქანაზე გათვლილი პარკინგი.

აღსანიშნავია რომ კომპლექსი მასპინძლობს ღონისძიებების ისეთ სახეობებს, რომელთათვის სპეციალური ლოკაციები არის მოწყობილი, მაგალითად:

- ჩოგბურთი (კორტები);
- ევროვიზია და სხვა და სხვა საკონცერტო საღამოები (მუსიკალური დაწესებულებები)
- ძიუდოს გრან პრი (ძიუდოს აკადემია)

ოლიმპიური აუზი

„ოლიმპიური აუზი“ (საკ.კოდი 01.72.14.009.354) აშენდა 2015 წელს, თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში. შესაბამისად ის აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, როგორც სპორტული ტურნირების ორგანიზების, ასევე დამსვენებელთა მიღების კუთხით. აუზის მიწის ფართი შეადგენს - 19 603.00 კვ/მ, შენობა-ნაგებობის ფართი - I-II სართული 5 069.3 კვ/მ, ღია აუზის - 2375 კვ/მ, აუზის გარე პერიმეტრი - 2250 კვ/მ, დამხმარე ფართი I სართულზე - 640 კვ/მ და საქვაბე 157 კვ/მ-ს.

საცურაო კომპლექსი აერთიანებს ორ ღია ტიპის აუზს და ერთ დახურულ „საწყუმპალაოს“ ბავშვებისათვის. კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი სხვადასხვა ზომის სპორტული დარბაზი . აქვე მოცემულია მათი ზომები: ღია აუზი - 50*25მ და 35*25მ; საბავშვო დახურული აუზი - 12*3მ; ხოლო დარბაზის - 300 კვმ. და 144 კვმ. აუზში

ოლიმპიურ აუზს აქვს შესაძლებლობა უმასპინძლოს საწყალოსნო სპორტის ნებისმიერ სახეობას. ღია აუზების გარშემო განთავსებულია ტრიბუნები, რომლებიც გათვლილია 2160 მაყურებელზე. ზემოაღნიშნული მომსახურება

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ითვალისწინებს შშმ პირებსაც. ასევე ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია 15-მდე საოფისე და საკონფერენციო ოთახი, ხოლო კომპლექსის გარე ნაწილში 8 სასაწყობო ოთახი. აუზის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ღია და დახურული კაფე-ბარი.

ოლიმპიური აუზი თავისი შინაარსით წარმოადგენს სპეციფიურ ობიექტს იმის გათვალისწინებით რომ ძირითადი აუზები ღია ტიპისაა და მათი მომსახურეობა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ოლიმპიურმა აუზმა როგორც ზემოთ მოგახსენეთ ღირსეულად უმასპინძლა 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, ხოლო სეზონური ფუნქციონირება 2016 წლის ივნისიდან დაიწყო.

ტანვარჯიშის არენა

2018 წელს ტანვარჯიშის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს 2 დახურულ დარბაზს.

ასევე ტანვარჯიშის არენაზე ფუნქციონირებს ბავშვთა შემსწავლელი ჯგუფები: მხატვრული და სპორტული ტანვარჯიში, აკრობატიკა და ბატუტზე ხტომა. აღნიშნულ ჯგუფებს ამზადებენ სერთიფიცირებული აღმზრდელები შესაბამის სახეობაში.

ტანვარჯიშის არენაზე დამონტაჟებულია ტურნიკეტის დაშვების სისტემა,

ტანვარჯიშის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. გარდა ამისა უმნიშვნელოვანესი იყო მომსახურების დონის მაღალი სტანდარტი უნდა გამოხატულიყო სავარჯიშო ინვენტარის ხარისხსა და ჰიგიენის ნორმების უმკაცრეს დაცვაში, უსაფრთხოების მაღალ დონეში და ასევე სხვა მომსახურეობების მაღალ სტანდარტში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა კვალიფიციური კადრების დასაქმება და ორივე მხარისთვის მისაღები შრომის ანაზღაურების გადახდა. „სპორტმშენსერვისის“ თითოეული თანამშრომლის ჩართულობით და დაუღალავი შრომის ხარჯზე მიღწეულ იქნა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები.

ფრენბურთის არენა

2018 წელს ფრენბურთის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს ორ დარბაზს.

ფრენბურთის დარბაზს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა შეძლებული საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება.

ფრენბურთის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. ფრენბურთის დარბაზებში მიმდინარე წელს ჩატარდა არაერთი საერთაშორისო ტურნირი.

2020 წლის ბოლოსთვის მოხდა ფრენბურთის დარბაზის კაპიტალიდან ამოღება.

ფეხბურთისა და რაგბის ხელოვნური და ბუნებრივი ღია სტადიონები

2019 წლის აგვისტოს დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში 7 ერთეული მოედანი: 3 ბუნებრივსაფარიანი და 1 ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი და 1 ბუნებრივსაფარიანი და 2 ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი.

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

აღნიშნულ მოედნებს ჭირდებათ სპეციფიური მოვლა-პატრონობა, დავიქირავეთ სპეცტექნიკა და პროფესიონალი კადრები, მენეჯმენტის ძალისხმევით მოხდა მოედნების საექსპლუატაციო მდგომარეობამდე მიყვანა. როგორც ზემოთ მითითებული დარბაზებისა, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მოედნების მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა.

ბათუმის სასახლე

ბათუმის სპორტის სასახლე 2022 წლიდან სრულად დატვირთილია. სასახლეს გააჩნია 2 დარბაზი.

სპორტის სასახლეში ოთახების რაოდენობა

ადმინისტრაციულ მხარე

- 13 ოთახი
- 1 სალარო ოთახი
- 1 სამზარეულო ოთახი
- 3 სველი წერტილი (საპიფარეშოები)
- 1 სათავსო ოთახი(დამლაგებლების ინვეტარისთვის)

დარბაზების მიმდებრედ

- 4 დიდი გასახდელი
- 3 პატარა გასახდელი (მაქსიმუმ 6-8 სპორსმენი)
- 2 გასახდელ-ოთახი მსაჯებისთვის
- 1 გასახდელ-ოთახი ღონისძიების კომისრებისთვის
- 1 ექიმის ოთახი
- 1 დოპინგ ოთახი
- 2 დიდი საპირფარეშო მაყურებლისთვის (კაცები ქალები)

ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან

- 1 კაფის ოთახი
- 1 ლიფტი (შშმ პირებისთვის)

თელავის სასახლე

თელავის სპორტის სასახლე 2022 წლიდან სრულად დატვირთილია. სასახლეს გააჩნია 2 დარბაზი.

სპორტის სასახლეში ოთახების რაოდენობა

ადმინისტრაციულ მხარე

- 13 ოთახი
- 1 სალარო ოთახი
- 1 სამზარეულო ოთახი
- 3 სველი წერტილი (საპიფარეშოები)
- 1 სათავსო ოთახი(დამლაგებლების ინვეტარისთვის)

დარბაზების მიმდებრედ

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- 4 დიდი გასახდელი
- 3 პატარა გასახდელი (მაქსიმუმ 6-8 სპორსმენი)
- 2 გასახდელ-ოთახი მსაჯებისთვის
- 1 გასახდელ-ოთახი ღონისძიების კომისრებისთვის
- 1 ექიმის ოთახი
- 1 დოპინგ ოთახი
- 2 დიდი საპირფარეშო მაყურებლისთვის (კაცები ქალები)

ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან

- 1 კაფის ოთახი
- 1 ლიფტი (შშმ პირებისთვის)

გორის სასახლე

გორის სპორტის სასახლე 2022 წლიდან სრულად დატვირთულია. სასახლეს გააჩნია 2 დარბაზი.

სპორტის სასახლეში ოთახების რაოდენობა

ადმინისტრაციულ მხარე

- 13 ოთახი
- 1 სალარო ოთახი
- 1 სამზარეულო ოთახი
- 3 სველი წერტილი (საპირფარეშოები)
- 1 სათავსო ოთახი(დამლაგებლების ინვეტარისთვის)

დარბაზების მიმდებრედ

- 4 დიდი გასახდელი
- 3 პატარა გასახდელი (მაქსიმუმ 6-8 სპორსმენი)
- 2 გასახდელ-ოთახი მსაჯებისთვის
- 1 გასახდელ-ოთახი ღონისძიების კომისრებისთვის
- 1 ექიმის ოთახი
- 1 დოპინგ ოთახი
- 2 დიდი საპირფარეშო მაყურებლისთვის (კაცები ქალები)

ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან

- 1 კაფის ოთახი
- 1 ლიფტი (შშმ პირებისთვის)

ჩოგბურთის კორტები

2022 წელს კომპანიამ კასპის მუნიციპალიტეტში ააშენა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ჩოგბურთის კორტები.

კორტების მახასიათებლებია:

- 3 სავარჯიშო-სათამაშო კორტი

ტრიბუნები არ აქვს

- 1 ცენტრალური კორტი

ტრიბუნის ტევადობა 250 ადამიანი

- 4 მსაჯის კომპლექსი

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- 4 საჩოგბურთო ბადე

ადმინისტრაციული შენობა

- 7 ოთახი
- 2 გასახდელი
- 3 საპრფარეშო (კაცი, ქალი, შშმ)

კორტების ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს შენობა ნაგებობა სადაც განთავსებულია სველი წერტილები.

- 3 საპრფარეშო (კაცი, ქალი, შშმ)

3. სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეები

შპს სპორტმშენსერვისის დაგეგმილი აქვს არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება როგორც არის:

1. ორთაჭალის ამფითეატრი - 2023 წლის მაისში გამოცხადებული არის ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე, სადაც პროექტი დასრულდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე;
2. ორთაჭალის სასეირნო ბილიკი და ღობე (მოიცავს ტერიტორიის გამწვანებას) - ტენდერი გამოცხადებულია და დასრულდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე;
3. აილამა და ჯუთას მოსასვენებელი კომპლექსი - მიმდინარეობს პროექტირება, მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წელს;
4. მშვილდოსნობის ბაზა - მშენებლობაზე გამოცხადებული არის ტენდერი. დასრულდება მიმდინარე წელს. მშენებლობა განხორციელდება შპს „სპორტმშენსერვისის“ ბალანსზე რიცხული ტანვარჯიშის არენის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე, ქ. თბილისი, დიდის საცდელი მეურნეობა;
5. მალთაყვის ნიჩბოსნობის ბაზა - ფოთში, სოფელ მალთაყვაში შენდება ნიჩბოსნობის ბაზა, რომელიც შესაბამისი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან. მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის ზაფხულში;
6. ცხენოსნობის ბაზა - ცხენოსნობის ბაზის ტექნიკური დავალების დავაკორექტირეთ, დავითვლით საორიენტაციო ღირებულებას. ინფორმაციას მოგაწვდით დამატებით.
7. ველოტრეკი - შპს „სპორტმშენსერვისის“ 2023 წელს კაპიტალში გადმოეცა ველოტრეკი, მდებარე ქ. თბილისი, დიდი დიდოში. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, რათა ველოტრეკის ბაზას მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში.
8. ტანვარჯიშის არენა - მიმდინარე წელს შპს „სპორტმშენსერვისი“ გეგმავს ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩაზე ტანვარჯიშის არენის მშენებლობას, რომლის პროექტირება დასრულდება მიმდინარე წლის ზაფხულში და მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“ მაქსიმალურად ცდილობს ბალანსზე რიცხული ყველა ობიექტი სრულად დატვირთოს და მომხმარებლებს შესთავაზოს მაღალი სტანდარტის მომსახურება როგორც ობიექტების აღჭურვილობის, ასევე დასაქმებული პერსონალის სახით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

შპს „სპორტმშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

გთხოვთ, იხილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სუბიექტის ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის) რისკების შესახებ და ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 13 ივნისს:

გერონტი ცინდელიანი
დირექტორი

შპს „სპორტშენსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

გთხოვთ, იხილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სუბიექტის ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის) რისკების შესახებ და ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 13 ივნისს:



გერონტი ცინდელიანი
დირექტორი